სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „თაფლი საჩინო“ 100 000 ლარის ინვესტირებას მოახდენს ერთწლიანი კულტურების გაშენებაში ვანის მუნიციპალიტეტში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 22,74 ჰა 4 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ვანის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს „თაფლი საჩინო“ პირდაპირი მიყიდვის წესით 15.921 ლარად. კოოპერატივი იღებს ვალდებულებას გააშენოს ერთწლიანი კულტურები აღნიშნული ტერიტორიის მინიმუმ 80%-ზე და ჩადოს არანაკლებ 100.000 ლარი ინვესტიცია. გარდა ამისა, განკარგულება ითვალისწინებს მინიმუმ 50 ადამიანის ერთდროულ დასაქმებას 3 წლის განმავლობაში პრივატიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

Sarke Information Agency, 03.04.2015

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: LOUIS DREYFUS COMMODITIES დაინტერესებულია საქართველოში ინვესტირებით

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია დღეს შეხვდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების და დასაწყობების ფრანგულ კომპანია LOUIS DREYFUS COMMODITIES წარმომადგენლებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით, კომპანია დაინტერესებულია რეგიონალური წარმომადგენლობისა და წარმოების სრული ციკლის დაფუძნებაში საქართველოში. უფრო დეტალური ინფორმაცია არ არის გასაჯაროებული. ეს კომპანია მოქმედებს მსოფლიოს 90 ქვეყანაში.

Sarke Information Agency, 03.04.2015

პრემიერ-მინისტრი: მიწის პრივატიზაციის შედეგად ქვემო ქართლში მასშტაბური პროექტის განხორციელება იქნება შესაძლებელი

პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული განსაკუთრებით დიდი მიწის ნაკვეთები არის ქვემო ქართლის რეგიონში". „ინვესტორებისთვის პრივატიზაციის შეთავაზების მეშვეობით ბევრი მასშტაბური პროექტის განხორციელება იქნება შესაძლებელი", ბიზნესმენებთან შეხვედრაზე მარნეულში ღარიბაშვილმა განაცხადა: „არსებობს მნიშვნელოვანი ბაზა ხორცის, ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებელი, რძის საწარმოების, პირუტყვის მოშენების, საბაზრო მებაღეობის და ნესვის მოყვანის, საკონსერვო მრეწველობის განვითარებისთვის; არსებობს ძალიან კარგი რესურსი საწყობების და სამაცივრე მურნეობების განვითარებისთვისაც“. ღარიბაშვილმა დაასახელა ასევე რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა, როგორც პერსპექტიული რაიონები წარმოების თვალსაზრისით და აღნიშნა, რომ დაგეგმილი პროექტების საინვესტიციო ღირებულება რუსთავში, მარნეულსა და გარდაბანში აღემატება 38 მილიონ ლარს. უკვე განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე საუბრისას პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 5 500 კრედიტი (საერთო ღირებულება - 114 მილიონი ლარი) გაიცა რეგიონში, 18 ახალი საწარმო დაფინანსდა (დაახლოებით 9 მილიონი ლარით), 89 საწარმო ხელახლა აღიჭურვა (18 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი), ხოლო მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო სამუშაოების დახმარების პროექტის ფარგლებში 92 000-ზე მეტი ბენეფიციარის ფინანსურმა მხარდაჭერამ 7,5 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. ამასთან, 12 საწარმო დაფინანსდა 13,9 მილიონ აშშ დოლარზე მეტით და 3,6 მილიონი ლარის ქონება გადაეცა კერძო ბიზნესს პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, 207 პოლისი გაიცა, ხოლო აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში დაზღვეული მოსავალის ღირებულებამ გადააჭარბა 6,5 მლნ ლარს, აღნიშნა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ მხოლოდ გასულ წელს 47 მილიონ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია იქნა განხორციელებული რეგიონში. პრემიერ-მინისტრმა ეს ინფორმაცია წარადგინა სამთავრობო პროექტის „ძლიერი რეგიონი - ძლიერი საქართველო" პრეზენტაციის დროს მარნეულში.

Sarke Information Agency, 03.04.2015

3 ახალი საწარმო გაიხსნება სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით კიდევ 3 საწარმო შეიქმნება სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში. საწარმოები, საერთო ინვესტიციით 387 380 ლარი, აშენდება გორში, წყალტუბოში და კასპში. კერძოდ, შპს გორის საკონსერვო ქარხანა „კულა" გეგმავს 95 592 ლარის ინვესტიციის განხორციელებას ხილის და კენკრის გადამამუშავებელ საწარმოში, რომელიც გადაამუშავებს მინიმუმ 400 ტონა ხილს და 10 ტ კენკრას. წყალტუბოში შპს „აილამა“ ჩადებს 148 000 ლარს კვების პროდუქტების საწარმოში. კომპანია გეგმავს მინიმუმ 2 000 კგ თევზის, 2 500 კგ ყველის და 1 000 კგ ხაჭოს წარმოებას. თავის მხრივ, შპს „VAM Group“ მინიმუმ 143 788 ლარის ინვესტირებას გეგმავს საღებავის საწარმოში კასპში. საწარმომ უნდა აწარმოოს მინიმუმ 80 ტონა საღებავი და ლაქი.

Sarke Information Agency 27.03.2015

მრავალ-მილიონიანი სათბური იწყებს ფუნქციონირებას საქართველოში

მრავალ-მილიონიანი სასათბურე მეურნეობა გაიხსნა სოფელ კაპანახში გარდაბნის რაიონში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. პროექტის პირველი ნაწილი დასრულდა და სამუშაოები გაგრძელდება ამ წელსაც. დღემდე, დაახლოებით 10 მილიონი ლარი დაიხარჯა სასათბურე მეურნეობის მშენებლობაზე, სადაც ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციალისტები იმუშავებენ. სავარაუდოდ, სულ პროექტის ღირებულება მიაღწევს 45 მილიონ ლარს. პროექტი განხორციელდა ფრანგული კომპანია Richel Group-ის და საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მიერ. სათბური აშენდა 4,4 ჰა ტერიტორიაზე და იქ დასაქმებულია 108 ადამიანი გარდაბნის რაიონიდან. ქართველ აგრონომებთან ერთად ფრანგი და უკრაინელი აგრო-ინჟინრები, ბიოლოგები და ტექნოლოგები მუშაობენ სათბურში. სათბურში გამოყენებული უახლესი ტიპის თანამედროვე აპარატურა და სათესლე მასალა ჩამოტანილია ჰოლანდიიდან და საფრანგეთიდან. პროდუქცია გაიყიდება თავდაპირველად ადგილობრივ ბაზარზე და შემდეგ გაიტანენ ექსპორტზე. „ეს არის ყველაზე მაღალი სათბური საქართველოში და ზომით მეორე ნაგებობა კავკასიის რეგიონში. რაც უფრო მაღალია სასათბურე მეურნეობა, უფრო ადვილია კლიმატის და ნესტის კონტროლი. ეს არის ენერგოეფექტური ავტომატიზებული სასათბურე მეურნეობა", – განაცხადა საქართველოს სათბურების კორპორაციის დირექტორმა დიმიტრი კოლესნიკოვმა. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, 2014 წლის აგვისტოში თანაინვესტირების ფონდს გადაეცა 35 ჰექტარი მიწა სათბურის მშენებლობის მიზნით. სასათბურე მეურნეობის განვითარების პროექტი მიზნად ისახავს ქვეყნის მზარდი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას. მშენებლობა 2014 წლის 19 სექტემბერს დაიწყო. დღეისათვის პირველი ეტაპი ოფიციალურად დასრულებულია. მეორე ეტაპი დაიწყება 2015 წლის აპრილში და სექტემბერში დასრულდება, დამატებითი 85 000 კვ.მ. დაემატება არსებულ სათბურს და დამატებითი 20 მილიონი ლარი დაიხარჯება ამაზე. დასრულების შემდეგ აქ იქნება 15 000 ტონა პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა ყოველწლიურად და 435 000 ლარი წელიწადში შევა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში. პროექტი ასევე შეამცირებს დამოკიდებულებას პომიდორის იმპორტზე 30 პროცენტით. ოფიციალური ინფორმაციით სულ 45 მილიონი ლარი ჩაიდება პროექტში.

Agenda.ge, 25.03.2015

საქართველო იმედოვნებს, რომ Thomson-Reuters ხელს შეუწყობს მიწის განვითარების პროექტს

საქართველოს ეროვნული სააგენტოს საჯარო რეესტრის უფროსი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თანამშრომლობის შესაძლებლობების საკითხებს განიხილავენ წამყვან მედია და ბაზრის კვლევის კომპანიასთან Thomson-Reuters ქვეყნის ახალ მრავალი მილიონი დოლარის მიწის მართვის პროექტთან დაკავშირებით. პაპუნა უგრეხელიძე მიზნად ისახავდა დაეგეგმა 50 მილიონი აშშ დოლარის სარწყავი და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის სტრატეგია პროექტის მთავარ ფინანსურ მხარდამჭერთან მსოფლიო ბანკის ჯგუფთან. მაგრამ სანამ ეს მოხდება, საქართველოს მიწის საფუძვლიანი ანალიზი უნდა ჩატარდეს, რომ ქვეყანამ საჭირო ინფორმაცია მოიპოვოს წამყვანი გადაწყვეტილებების მიმღებებისგან. აქ აპირებს Thomson-Reuters ჩართვას. ამ საკითხთან დაკავშირებით უგრეხელიძე შეხვდა დონალდ პილს, Thomson-Reuters-ის, ერთ-ერთი ძირითადი მრავალეროვნული და მასობრივი ინფორმაციის საშუალების ფირმის, ვიცე-პრეზიდენტს. განიხილეს თანამშრომლობის შესაძლო გზები. ასევე ვიზიტის დროს აშშ-ში უგრეხელიძემ გამართა შეხვედრები მსოფლიო ბანკის ჯგუფის წარმომადგენლებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სარწყავი და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის დაფინანსებაზე საქართველოში. მხარეებმა განიხილეს სამოქმედო გეგმა პროექტის განხორციელების პირველი ეტაპის დასაწყებად. კერძოდ, საუბარი შეეხო კანონპროექტს მიწის უფლებათა რეგისტრაციის და საკადასტრო მონაცემების გაუმჯობესების საკითხზე. მხარეებმა ასევე დაგეგმეს პროექტის განვითარების სტრატეგია. 2014 წლის სექტემბერში მსოფლიო ბანკის

ჯგუფის აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა პროექტისთვის 50 მლნ აშშ დოლარით (107 მლნ ლარი) დაფინანსება საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ. დღეს კანონპროექტი ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს პარლამენტისთვის. მას შემდეგ, რაც პარლამენტი კანონპროექტს მიიღებს, პროექტის განხორციელება დაიწყება. პროექტის ხანგრძლივობა 25 წელია შემდგომი ხუთი წლის საშეღავათო პერიოდით. საქართველოს მასშტაბით პროექტი თორმეტ სოფელში განხორციელდება. პროექტის მიზანია სარწყავი და სანიაღვრე მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება და გაუმჯობესებული პოლიტიკის და პროცედურების განვითარება, რაც იქნება მიწის რეგისტრაციის ეროვნული პროგრამის საფუძველი. პროექტში ჩართულია ორი ძირითადი კომპონენტი: სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია და მიწის ბაზრის განვითარება. გათვალისწინებულია სარწყავი და სანიაღვრე მომსახურების გაუმჯობესება დაახლოებით 31.000 ოჯახისთვის, რომლებიც ამუშავებენ 26.000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს. ეს ხალხი პირდაპირ სარგებელს მიიღებს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდით. გარდა ამისა, დაახლოებით 19.000 ოჯახი, რომლებსაც სარგებლობაში აქვთ არარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები საპილოტე ტერიტორიებზე, პროექტის ფარგლებში ისარგებლებენ შექმნილი გაუმჯობესებული პოლიტიკით და შესაძლებლობით მოახდინონ მიწების რეგისტრაცია.

Agenda.ge, 26.03.2015

„ჯორჯიან ბიზნეს ზონა“ 145 000 ლარის ინვესტირებას მოახდენს ერთწლიანი კულტურების გაშენებაში ახალციხეში

პრემიერ-მინისტრის ბრძანებულების თანახმად 4 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ახალციხის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთი) გადაეცემა შპს „ჯორჯიან ბიზნეს ზონას“ 25 წლის იჯარით. იჯარის წლიური საფასური ნაკვეთებისთვის, რომელთა საერთო ფართობი 52,76 ჰა–ა, იქნება 5.200 ლარი. კომპანია ვალდებულებას იღებს გააშენოს ერთწლიანი კულტურები თითოეული ნაკვეთის ტერიტორიის არანაკლებ 70%-ზე და ჩადოს მინიმუმ 145.000 ლარის ინვესტიციები. გარდა ამისა, „ჯორჯიან ბიზნეს ზონა“ ვარაუდობს 6-თვიანი ვადით დაასაქმოს არანაკლებ 10 ადამიანი ყოველწლიურად მინიმუმ 5 წლის ვადით შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ.

Sarke Information Agency, 26.03.2015

ღვინის აღმართის რეაბილიტაცია თბილისის ისტორიულ ნაწილში 220 000 ლარი დაჯდება

თბილისის განვითარების ფონდმა კონკურსი გამოაცხადა სამუშაოების შეძენაზე 3 პროექტის ფარგლებში ღვინის აღმართის რეაბილიტაციაზე, რომელიც მდებარეობს ავლაბარში (ისტორიულ ნაწილში). 3 პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 220 000 ლარს. სამუშაოები დაფინანსდება ფონდის ბიუჯეტიდან 2015 წლისთვის. განაცხადების წარდგენის ვადაა 1-6 აპრილი, ხოლო სამუშაოები უნდა დასრულდეს 3 და 4 თვეში. (პროექტების შესაბამისად).

Sarke Information Agency, 26.03.2015

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სურსათის უსაფრთხოების ეფექტურად გასაკონტროლებლად ჯარიმები გამკაცრდება

სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ სურსათის უვნებლობის ეფექტური კონტროლისთვის იგეგმება ჯარიმების გამკაცრება. მოქმედი წესების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ არის ეჭვები, რომ წარმოებული პროდუქცია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნეა, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია აღკვეთოს მისი გამოჩენა სავაჭრო ქსელში ან აიღოს თაროებიდან. იმ შემთხვევაში, თუ ამ მოთხოვნას დაარღვევს, ოპერატორი დაჯარიმდება 1.000 ლარით პირველად, ხოლო ჯარიმა დარღვევის განმეორების შემთხვევაში ისევ იგივე 1.000 ლარია, აღნიშნავენ სამინისტროში და დასძენენ, რომ სანქციები „უნდა იყოს დანაშაულის ადეკვატური". „აღნიშნულის გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია გადახედოს ჯარიმების პოლიტიკას მისი გამკაცრების მიმართულებით", აცხადებენ სამინისტროში. სამინისტროს ინფორმაციით 971 ინსპექტირება ჩატარდა წლის დასაწყისიდან, რის შედეგადაც შეჩერებულია 12 ოპერატორის საქმიანობა, ხოლო 63 ოპერატორი დააჯარიმეს. „რამდენიმე შემთხვევაში გამოვლინდა სერიოზული დარღვევები, რომლებიც წარმოადგენს საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოცხლისთვის", აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

Sarke Information Agency, 26.03.2015

ეკონომიკის მინისტრი: „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ 45 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებას მოახდენს გადაცემულ საკუთრებაში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“, რომელმაც მიწა მიიღო გარდაბანში (ქვემო ქართლის რეგიონი) სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, 45 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას განახორციელებს ამ ქონებაში. კვირიკაშვილმა გააკეთა ეს განცხადება ოპოზიციური ნაციონალური მოძრაობის ბრალდებების საპასუხოდ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „მოიპოვა 2,5 მილიონის ქონება 1 ლარად". ნაციონალურ მოძრაობაში აღნიშნეს, რომ „საქართველოს სათბური კორპორაციის“ ერთადერთი მფლობელია GCF Partners, რომელიც, თავის მხრივ, „ეკუთვნის, უჩა მამაცაშვილს, ივანიშვილის დეიდაშვილს და გიორგი ბაჩიაშვილს, თანაინვესტირების ფონდის გენერალურ დირექტორს". როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, საქართველოს სათბურის კორპორაცია თანაინვესტირების ფონდის შვილობილია და „მფლობელები ამ პროექტში არიან, როგორც ქართული, ასევე ფრანგული კომპანიები". „აქედან გამომდინარე, ეს არის ფაქტების დამახინჯება და სუფთა წყლის პოლიტიკური სპეკულაცია", განაცხადა კვირიკაშვილმა და აღნიშნა, რომ „პირდაპირი მიყიდვის და ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემის პრაქტიკა დაიწყო წინა მთავრობის პირობებში". „დაგეგმილია 45 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება გადაცემულ მიწაში, 100-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული და 10 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია უკვე ჩაიდო", განაცხადა კვირიკაშვილმა და დასძინა, რომ თუ ვინმე „ინვესტიციებს ჩადებს სოფლის მეურნეობაში, სასათბურე მეურნეობებში, ამ პირობების ნახევარითაც, ხელისუფლება მზად არის არა მხოლოდ გადასცეს ქონება სიმბოლურ ფასად, არამედ გაუწიოს ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - უზრუნველყოს გაზის, წყლის, ელექტროენერგიის მიწოდება და ააშენოს ასევე გზა, რაც, ჩვენ არ გავაკეთეთ ამ შემთხვევაში".

Sarke Information Agency, 24.03.2015

შპს „წინანდალის - ქართული ღვინის საგანძური“ გაკოტრების პროცესი დაიწყო

თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა დაიწყოს სამართალწარმოება შპს „წინანდალის – ქართული ღვინის საგანძური“ გაკოტრების საქმეზე. სასამართლოს ბრძანებით, კომპანიის ვალი სახელმწიფოს წინაშე შეადგენს 18,14 მლნ ლარს. ამასთან, მას არ აქვს არც ანგარიშზე მისაღები და არც სხვა სახსრები საბანკო ანგარიშებზე. სასამართლომ კრედიტორებს 20 დღის ვადა მისცა მათი პრეტენზიების წარსადგენად შპს-სთვის. კრედიტორთა პირველი კრება დაინიშნა 22 აპრილს, რომელიც განიხილავს შემდეგ საკითხებს: ანგარიში ქონების რწმუნებულის შესახებ, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ვალდებულებები და უზრუნველყოფილი კრედიტორები; კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება; გაკოტრების მმართველის დანიშვნა. საჯარო რეესტრის ცნობით, შპს „წინანდალი - საქართველოს ღვინის საგანძური“ რეგისტრირებული იყო 1996 წლის დეკემბერში, კომპანია მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია.

Sarke Information Agency, 23.03.2015

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

მთავრობა ზრდის სოფლის მეურნეობის სესხების სუბსიდირების მოცულობას 4-დან 6%-მდე

სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა, განაცხადა პარლამენტის კითხვა-პასუხის სესიაზე, რომ 1 აპრილიდან მთავრობა მოახდენს 6 პროცენტის სუბსიდირებას სასოფლო-სამეურნეო სესხებზე, მიმდინარე 4 პროცენტის ნაცვლად. ოფიციალური მონაცემებით გასულ წელს დაახლოებით 80 000 ფერმერმა სომხეთში მიიღო სუბსიდირებული აგრარული სესხები – 66 მილიარდი დრამი. მთავრობის 2011 წელს მიღებული გადაწყვეტილებით ფერმერებს უფლება მიეცათ სესხებზე 14% საპროცენტო განაკვეთით, საიდანაც 4% დოტაციური იყო მთავრობის მხრიდან. საზღვრისპირა სოფლებში მაჩვენებელი 6%-ია. სესხები გაიცა ეროვნულ ვალუტაში – დრამებში. სესხის საშუალო რაოდენობა 625.000 დრამია. სესხები გაცემულია 6 თვიანი საშეღავათო პერიოდით. დასაწყისში ფერმერები იხდიან მხოლოდ პროცენტებს და მათი გადახდის შემდეგ მათ ეძლევათ კიდევ 6 თვემდე ვადა მთავარი სესხის გადასახდელად. 2014 წელს საპროცენტო განაკვეთი სასოფლო-სამეურნეო სესხებზე შემცირდა 12-13%-მდე. მიმდინარე წელს მთავრობა გეგმავს გამოყოს 1,2 მილიარდი დრამი სოფლის მეურნეობის სესხების სუბსიდირებისთვის. ცენტრალური ბანკის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის სესხი 2015 წლის თებერვალში იყო 135,8 მილიარდი დრამი, ზრდა იყო 6% წლის დასაწყისთან შედარებით. (1 აშშ დოლარი - 472,45 დრამი).

25 მარტი, ARKA

ტენდერები და განცხადებები

ტენდერი: კონსალტინგი/სწავლება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი

ქვეყანა: საქართველო

ჩაბარების ვადა: k.A.

დაფინანსება: ევროგაერთიანების კომისია/ევროგაერთიანება

საქმის ნომერი: EuropeAid/136454/DH/SER/GE

ფაზა: წინასწარი შეტყობინება

საქმე ეხება: საქართველო, თბილისი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს პოტენციალის გაზრდას.

გათვალისწინებულია: ტექნიკური დახმარება/სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს კომპეტენციების ჩამოყალიბება, ასევე სწავლების პროგრამების განვითარება და სხვა.

მდგრადი განვითარების პროექტი „დასავლეთ საქართველოში თხილის პლანტაციების გაშენება“ ეძებს ინვესტორებს და პარტნიორებს

2007 წლიდან ჩვენ შევიმუშავეთ მდგრადი განვითარების პროექტი სამეგრელოს რეგიონში სახელწოდებით „დასავლეთ საქართველოში თხილის პლანტაციების გაშენება“. ვენაში, ავსტრია, დაფუძნებული Cimate and Education Partnership-ის მიერ შემუშავებული პროექტი ითვალისწინებს თხილის პლანტაციების გაშენებას დეგრადირებულ/მიტოვებულ მიწებზე. ეს არის სერტიფიცირებული „ოქროს სტანდარტის“ პროექტი. პროექტი ითვალისწინებს სამუშაო ადგილებს და ადეკვატურ ანაზღაურებას დაახლოებით 2000 ადგილობრივი მცხოვრებლისთვის, ასევე გარემოს დაცვას, აწარმოებს საკვებ პროდუქტებს და უზრუნველყოფს სპეციალურ ტრეინინგს დამატებით 1000 ადგილობრივი ფერმერისთვის ყოველწლიურად. მნიშვნელოვანია, რომ ეს გრძელვადიანი ღონისძიებები ექვემდებარება მკაცრ მონიტორინგს TÜV SÜD-ის და „ოქროს სტანდარტის ფონდის“ ზედამხედველობის ქვეშ ყოველწლიურად. პროექტი ამჟამად ეძებს ინვესტორებს და სურს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორ(ებ)თან, რომელთაც სურთ, რომ მათი საქმიანობა იყოს გარემოსათვის უსაფრთხო და ნახშირბად-ნეიტრალური და ჩაერთონ ჩვენს საქმიანობაში. ჩვენ ჩამოვაყალიბებთ გრძელვადიან პარტნიორობას, დაფუძნებულს მყარ ორმხრივ ინტერესზე, შემდეგ საკითხებში:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის/მეტყევეობის გრძელვადიანი მდგრადი განვითარება
- ენდოგენური საკვები პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა და
- ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნება.

ჩვენ ვითანამშრომლებთ პარტნიორებთან საბანკო სექტორიდან, სურსათის და ღვინის მწარმოებლებთან, საერთაშორისო მოვაჭრეებთან.

საკონტაქტო პირი:

Géza Tóth

პროექტის წამყვანი მენეჯერი

პარტნიორობა კლიმატის და განათლებისთვის

ტელეფონი: +43 66 05 44 6799

geza.toth (at) cepconsulting.org

www.cepconsulting.org

Skype: tothg.iiasa

ენერგეტიკა სოფლის მეურნეობაში: გლობალური ინოვაციების მეორე კონკურსი!

ენერგეტიკა სოფლის მეურნეობაში: ენერგია დიდი გამოწვევაა განვითარებისთვის (PAEGC). გლობალური ინოვაციების მეორე კონკურსი განკუთვნილია სუფთა ენერგეტიკის დარგში ინოვაციური ტექნოლოგიების და ბიზნეს მოდელებისთვის სოფლის მეურნეობაში.

გამოცემები და სხვა

ახალი გამოცემა: საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი

გერმანიის ეკონომიკური გუნდი/ISET: **საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი: სტრუქტურები და გამოწვევები**, ნოემბერი 2014

გერმანიის ეკონომიკური გუნდი/ISET: **საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი**, ნოემბერი 2014

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ მისამართზე

http://issuu.com/enpardgeorgia/docs/20140725_trade_6_ka__1

BFC-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2015 წლის მარტის # 31 გამოცემა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს ჰედლაინების და ახალი ამბების რეგულარულ მიმოხილვას სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების და ფინანსების შემოდინების შესახებ. გაეცანით ბიულეტენს ამ მისამართზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან

სიახლეები იხ. http://www.enpard.ge/news/details/2080

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://nfa.gov.ge/files/images

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.

http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/

http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/